

**მცირე და საშუალო გიგნები როგორც
სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის
პრი-ერთი აუცილებელი პირობა და გათი აღრიცხვის,
საგადასახადო რეგულირების ზოგიერთი საეციფიკა**

**უუუნა წიკლაური
ემდ, სტუ პროფესორი**

**ალექსანდრე სხირტლაძე
ემდ, ფმდ, პროფესორი**

**რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი**

**ნათია შენგელია
ედ, სტუ პროფესორი**

ისევე როგორც ადამიანი იმთავითვე არ იბადება დიდი, ასევე ბიზნესი, როგორც წესი, იბადება ჯერ პატარა და მერე იზრდება.¹ იმის მიხედვით, თუ როგორია სამუშაო ძალის, კაპიტალისა და დოვლათის კონცენტრაცია, შესაბამისად ბიზნესი, საწარმო შეიძლება იყოს მცირე (დასაქმებულთა რაოდენობა, ვთქვათ, მრეწველობაში არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს, ხოლო წლიური ბრუნვა 500000 ლარამდე) სამუალო (100-მდე დასაქმებული და წლიური ბრუნვა 1500000 ლარამდე) და ა.შ. - დიდი (მსხვილი). ე.ი. სიდიდის მიხედვით ისევე როგორც ბიზნესი, ასევე ეკონომიკა წარმოდგენილია მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოებით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავალი არ აღემატება 100 ათას ლარს. მართალია მცირე ბიზნესის, ასევე მცირე საწარმოთა

¹ მაგალითად, ევროპა-ამერიკაში ჯერ იქმნება მცირე ბიზნესი, ხოლო შემდგომ აქედან იქმნება საშუალო და დიდი ბიზნესი. ჩვენი აზრით, საქართველოშიც ასეთი მიმართულებით უნდა განვითარდეს მეწარმეობა და ბიზნესი.

მეპატრონები, თვითონ მუშაობენ, მაგრამ დაქირავებული შორმის გამოყენება კანონით არ იკრძალება.

მცირე და საშუალო ბიზნესი ყოველთვის და ყველგან ასრულებდა დიდ როლს. ეკონომიკურ მეცნიერებაში მცირე და საშუალო ბიზნესის სიდიდის განსაზღვრისადმი მიღებომა სხვადასხვაგვარია. ამ მიმართულებით არსებობს ევროკავშირის კომისიის მიერ მიღებული კრიტერიუმები, რომლითაც, საწარმო მიეკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიას იმის მიხედვით, თუ რამდენია დასაქმებულთა რაოდენობა, წლიური საქონელბრუნვის მაქსიმალური მოცულობა ან მთლიანი მაქსიმალური საბალანსო ღირებულება. ამის გარდა, საწარმო უნდა იყოს დამოუკიდებელი, ე.ი. სხვა საწარმო ან რამდენიმე საწარმო ერთად არ უნდა ფლობდნენ მისი აქციების 25%-ზე მეტს!¹

მცირე და საშუალო ბიზნესი ერთმანეთისაგან მხოლოდ სიდიდით არ განსხვავდებიან. ისინი განსხვავებულ დამოკიდებულება-ში არიან ბაზართან. მცირე საწარმო, სახსრების ნაკლებობის გამო უფრო ძლიერ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე. პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ მიერ საკუთარი ინტერესების ლობირება მსხვილ ფირმებთან შედარებით ნაკლებად ეფექტიანია. ამავდროულად, მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას, ერთობ მგრძნობიარეა კონკურენციისა და მომხმარებელთა მოთხოვნის მიმართ, ასევე გვევლინება მენარმეობის ერთგვარ ინკუბატორად, ამიტომ უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფო ეხმარება მცირე ბიზნესს ზრდა-განვითარებაში. მცირე ბიზნესს მცირე კაპიტალის გამო „პოლიტიკაში პატარა ხმა აქვს“.²

მსხვილი ბიზნესი, მსხვილი საწარმო, ფლობს რა დიდაღ კაპიტალს, უფრო ნაკლებადადა დამოკიდებული საბაზრო კონკურენციაზე. პირიქით, ისეც ხდება, რომ მსხვილ კომპანიას შეუძლია შეცვალოს ბაზრის სიტუაციაც კი, მაგალითად ფასწარმოქმნის კუთხით. შეძლება ამის მაგალითად გამოდგეს რუსეთის ფირმის - „ნორილსკი ნიკელი“-ს მიერ ნიკელზე ფასების ცვლილება (შემცირება

1 Малые и средние предприятия в странах с переходной экономики. Европейская экономическая комиссия 1996, стр. 5.

2 უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007წ., გვ. 174.

ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ან მატება) მთლიანად ცვლის მდგომარეობას ნიკელის მსოფლიო ბაზარზე. ბაზარზე ზეგავლენის ამგვარი შესაძლებლობა, მსხვილ კომპანიებს უბიძებებს მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვებისა-კენ, რის გამოც სუსტდება ბაზრის მამოძრავებელი და საფუძველი - კონკურენცია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილ ბიზნესს დიდი წვლილი შეაქვს მრავალი, განსაკუთრებით რთული, მეცნიერებატევადი და კაპიტალტევადი საქონლის შექმნაში. სწორედ ამის გამო სახელმწიფო მსხვილი ბიზნესისადმი დამოკიდებულებაში ორადია: ერთი მხრივ, ებმარება მათ, როგორც მეცნიერებატევად და კაპიტალტევად დარგების დედაბოძს, და მეორე მხრივ ანტიმონიკოპოლიური კანონმდებლობით ზღუდავს მათ. დიდ ბიზნესს, დიდი კაპიტალის გამო „პოლიტიკაშიც დიდი ხმა აქვს“.¹

მსხვილ ბიზნესს, გააჩნია რა საწარმოო, საფინანსო და ორგანიზაციული პოტენციალი საშუალო და განსაკუთრებით მცირე ბიზნესის მხარდაჭერისათვის, მცირე ბიზნესი სჭირდება, როგორც კოოპერაციული კავშირების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. მსხვილი და მცირე და საშუალო ბიზნესი თითქოს ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავ პრინციპებს ეყრდნობიან. მათი მიზნები, საქმიანობა, მასშტაბი განსხვავებული მიდგომის საფუძველზე ყალიბდება, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე. მსხვილი ბიზნესი საბაზრო ურთიერთობების მამოძრავებელი ძალაა, ხოლო მცირე ბიზნესი თავისი ბუნებით ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას, უზრუნველყოფს მოქნილობას და ინდივიდუალიზაციის პროცესს გაღრმავებას. ამიტომ ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთს ავსებს, მათი ურთიერთშელნევისა და ურთიერთგანპირობებულობის ხარისხით ყალიბდება სრულიად ახალი თვისებრიობა - ინტეგრაციული პროცესები იძენს მთლიანობითი სისტემის ხასიათს.²

მცირე ბიზნესის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. მეცნიერულ ლიტერატურაში თითქმის ყველა განსაზღვრების საფუძვლად აღებულია ბიზნესის წარმოების მცირე მასშტაბები, ასე მაგალითად: „მცირე ბიზნესი - მცირე ფირმის სამეწარმეო საქმიანობაა, რომელსაც მიეკუთვნება ინდი-

1 იქვე.

2 იხ. ჟურნ. „ეკონომიკა“. №4, 2004წ., გვ. 135.

ვიდუალური მეწარმეობა და წერილი ფირმები... მცირე ბიზნესი - ბიზნესი, რომელიც მცირე ფორმებში ხოერციელდება და კერძო მეწარმეების მცირე ფირმების, პატარა საწარმოების სამეწარმეო საქმიანობას ეყრდნობა. მცირე ბიზნესი წარმოების, ვაჭრობის, მომსახურების სფეროს ზოგიერთი სახეობისთვის არის დამახასიათებელი.¹

ზემოაღნიშნულ განსაზღვრებებში მცირე ბიზნესის საფუძვლად მარტო წარმოების სიდიდე, მასშტაბები, ვფიქრობთ საკმარისი არ არის. ჯერ ერთი სიდიდით შეიძლება პატარა იყოს საშუალო და მსხვილი ბიზნესიც; მცირე ბიზნესი მარტო წარმოების და მომსახურების სფეროთი როდი შემოიფარგლება. იგი შეიძლება იყოს დამახასიათებელი არანარმოებით სფეროშიც; მესამე, მცირე ბიზნესის განმარტებისას გვერდს ვერ ავუგლით სოციალურ მხარეს, ვინაიდან მცირე და საშუალო საწარმოთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მთელი რიგი სოციალურ საკითხთა გადაწყვეტა. ცნობილია, რომ საკუთარი წარმოებით მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან პირობებს სამუშაო ადგილების შექმნისათვის. მათ მასტაბილიზებელი ეფექტი აქვთ შრომის ბაზარზე და კრიზისების დროს ჩვენი აზრით, უფრო, მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან, ვიდრე დიდი, მსხვილი საწარმოები. მაგალითად, გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოები შრომისუნარიანი მოსახლეობის ორ მესამედს ასაქმებს. აღმოსავლეთ გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოები ახალი სამუშაო ადგილების შექმნით გადაიქცა ყოფილი სახელმწიფო საწარმოებიდან გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის მიმღებ რეზიუმუარად.²

ცნობილია ისიც, რომ მსოფლიოს მშპ-ში 60% წილი შეაქვს მცირე და საშუალო ბიზნესის ფირმებს, რომელთა საქმიანობის სფერო მომსახურეობაა და ამ სფეროში 40% ტეირთების გადაზიდვების მომსახურების ბიზნესია. აშშ-ში დაწყებული 90-იანი წლებიდან და განსაკუთრებით 2000-იან წლებისათვის სამუშაო ადგილების შექმნის ცენტრი მსხვილი კომპანიებიდან გადავიდა მცირე და საშუალო

1 ს. ყამარაული, „უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი, თბ., 2002წ., გვ. 85; 347.

2 რ. გველესიანი, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბ., 1999, გვ. 14.

ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრბლემები

ბიზნესის სექტორში. აშშ-ში ყოველწლიურად იქმნება 600000 ახალი საწარმო, რაც 7-ჯერ მეტია, ვიდრე 80-იან და 90-იან წლებში იყო. 1990 წლიდან შექმნილ 40 მილიონ სამუშაო ადგილიდან ახალ ტექნოლოგიებზე მოდის მხოლოდ 5-6 მილიონი კაცი. ყოველ 100 ახალ საწარმოზე მოდის ერთი, ან ორი ახალი ტექნოლოგია.¹

რაც შეეხება იტალიას, აქ სამრეწველო საწარმოების 99% მცირედა საშუალოა. ისინი იტალიაში საექსპორტო პროდუქციის 60%-ს აწარმეობენ, გერმანიასა და პოლანდიაში 40%-ს, საფრანგეთში 25%-ს, იაპონიაში 15%-ს.²

მცირე ბიზნესში დიდი წარმატებებით ცნობილია იაპონიაც. 2006 წლის მონაცემებით, იაპონიაში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდიოდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის 55%, საცალო ვაჭრობის 80% და საბითუმო ვაჭრობის 50%-ზე მეტი. იაპონიის მხოლოდ გადამამუშავებელ მრეწველობაში ფუნქციონირებს 6 მილიონზე მეტი მცირე და საშუალო ზომის საწარმო, რომლებშიც საერთოდ მრეწველობაში დასაქმებულთა 75%-ზე მეტი მოდის.³

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე მცირე ბიზნესის საწარმოების კლასიფიკაცია ხდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესაბამისად. რაოდენობრივ მაჩვენებლებში იგულისხმება: а) საწარმოში დასაქმებულთა რიცხოვნობა (ეს მაჩვენებელი გავრცელებულია უფრო მეტად); ბ) წარმოების წლიური მოცულობა; გ) გაყიდვების წლიური მოცულობა; დ) აქტივებში საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება. ხარისხობრივი მაჩვენებლებია: ა) საწარმო ფლობს ბაზრის მცირე ნილს; ბ) საწარმოს მართვა ხორციელდება პირადად მეპატრონის მიერ; გ) საწარმო წარმოადგენს დამოუკიდებელს და არ ემორჩილება მსხვილ კომპანიას.⁴

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (ЕСР) რომელშიც შედიან განვითარებული ქვეყნები, განსაზღვრავს საწარმოთა შემდეგ კლასიფიკაციას: 19 კაცამდე რაოდენობით - როგორც „მეტად მცირეს”, 90-მდე კაცს -

1 Питер ф. Друкер. Рынок как выйти в лидеры. М. 2008, с. 10.

2 Ж. Экономика Украины, 2005, №6, стр. 75.

3 ჟურნ. „ეკონომიკა“, №7, 2009, გვ. 222.

4 М.Г. Капуста, Ю.Л. Старостин, Малое предпринимательство, учебник, М., 2007.г.

როგორც მცირეს, 100-დან 499 კაცამდე, როგორც „საშუალოს“ და 500-ზე მეტი - როგორც „მსხვილს“.

უცხოური და სამამულო გამოცდილების შესწავლით დადგენე-ლია მცირე ბიზნესის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია:

1. მცირე საწარმოების შეზღუდული ბაზრის პირობებშიც კი შეუძლიათ მოძებნონ და დაიკავონ ნიშა და იმუშაონ მომგებიანად. მცირე ბიზნესის უპირატესობაა მოქნილობა და საბაზრო სიტუა-ციებზე სწრაფი რეაგირება;

2. ადგილობრივ პირობებთან იოლი ადაპტაცია;

3. სამეურნეო საქმიანობის განხორციელების (მართვისას) შე-დარებით დაბალი ხარჯები;

4. ინდივიდის დიდი შესაძლებლობა - რეალიზაცია გაუკეთოს თავის იდეებს, გამოავლინოს თავისი უნარი;

5. პირველსაწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნი-ლება და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის საპასუხოდ სწრაფი ცვლილებები პროდუქციასა და წარმოების პროცესში;

6. საკუთარი კაპიტალის უფრო მაღალი ბრუნვადობა.

მცირე და საშუალო საწარმოებს, მსხვილ კომპანიებთან შედა-რებით, გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონკურენციული უპირატესობე-ბი: ერთ მუშაკზე გაანგარიშებით თხოულობენ ნაკლებ კაპიტალ-დაბანდებებს და ფართოდ იყენებენ ადგილობრივ მატერიალურ და შორმით რესურსებს.

მცირე ბიზნესის მესაკუთრეები უფრო მეტად ცდილობენ სახსრების დაზოგვას და ორიენტირებული არიან ინვესტირებაზე, წარმატების მიღწევაში მათ ყოველთვის პირადი მოტივაციის მაღა-ლი დონე აქვთ, რაც დადებითად მოქმედებს საწარმოს საქმიანო-ბაზე. მცირე ბიზნესი უკეთესად არის ინფორმირებული ადგილო-ბრივი ბაზრის მოთხოვნის შესახებ, ხშირად დოვლათს აწარმოებს კონკრეტული მომხმარებლის შეკვეთით. მცირე ბიზნესი მსხვილ-თან შედარებით ხელს უწყობს: ახალი სამუშაო ადგილების, კარიე-რის შექმნას და შორმითი რესურსების დასაქმებას; მცირე ბიზნესს ცალკეულ ქვეყნებში უკავია დომინირებული მდგომარეობა, რო-გორც რიცხოვნობით, ასევე საქონლის (შესრულებული სამუშაოს, მომსაუხრების) წარმოების ხვედრითი წილის მიხედვით.

ეპონიმური თეორიის თანამდებობა პროცესზე

ხაზგასმულია, რომ მცირე ბიზნესს აქვს გარკვეული სუსტი მხარეებიც:

1. წარუმატებლობის მაღალი მაჩვენებელი. მცირე კომპნიები, ფირმები უფრო სწრაფად იბადებიან, მაგრამ ასევე სწრაფად კოტრალებიან.

2. რისკის უფრო მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის ნაკლებ სიმყარეს;

3. მსხვილ კომპანიებზე დიდი დამოკიდებულება;

4. მმართველური გამოცდილების ნაკლებობა;

5. ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენტურობა, მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებისადმი ამაღლებული მგრძნობელობა;

6. დამატებითი ფინანსური სახსრების სესხებაში და კრედიტების მიღებაში სიძნელეები;

8. მცირე ბიზნესის წარუმატებლობის (ბანკროტობის) სხვა მიზეზებია: ბიზნესის ხელმიშვებულობა, უყურადღებობა, აგრეთვე კატასტროფები, ხანძარი, ქურდობა, თაღლითობა და სხვ.

მცირე ბიზნესის წარმატების შანსი იზრდება მისი მომწიფებისა და განვითარების შესაბამისად. ფირმები, რომლებიც დიდხანს არსებობენ ერთი მფლობელის ხელში, იღებენ უფრო მაღალ და სტაბილურ შემოსავალს, ვიდრე ის ფირმები, რომლებიც ხშირად იცვლიან მფლობელს.

მცირე ბიზნესის მეურნეობრიობის ნაკლებად ხელსაყრელი პირობები განაპირობებენ მათ ნაკლებ სიმყარესა და ნაკლებ კონკურენტუნარიანობას. ამიტომ იგი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. სწორედ ამის გამოა, რომ ბავშვის მსგავსად, უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფო მცირე ბიზნესს ზრდა-განვითარებაში ეხმარება. ეს განპირობებულია იმით, რომ მისი განვითარების მინდობა მხოლოდ საბაზრო ძალებისადმი, საჭირო სოციალურეკონომიკურ შედგეს არ მოგვცემს. აუცილებელია მცირე ბიზნესის მხარდაჭერა ფინანსური სახსრების მოზიდვაში, ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მარკეტინგულ მომსახურებაში, კვალიფიციური კადრების მომზადებაში და სხვ. იგი მხარდაჭერას საჭიროებს აგრეთვე იმიტომ, რომ აქ დაბალია პროდუქციის დივერსიფიკაციის დონე, ფლობს მცირე საწესდებო კაპიტალს და რესურსებს. დაბალია მენეჯმენტის დონე, მკვეთრად რეაგირებს საბაზრო კო-

ნიუნქტურის ცვლილებაზე და ა.შ.

მეტად საყურადღებოა მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერის მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ამერიკული მოდელი (აშშ-ში მცირე მენარმეობა მოსახლეობის 95%-ს ასაქმებს), რომლის გა-მოყენება დიდად წაადგება ქართულ ეკონომიკას. ამ სასწაული ეკონომიკური და სოციალური ფენომენის საფუძვლები კი შექმნეს ქვეყანაში ეტაპობრივად მიღებულმა და ცხოვრებაში რეალუ-რად გატარებულმა შემდეგმა ნორმატიულმა აქტებმა, რომლებიც საქართველოსთვისაც უნდა გახდეს ორიენტირები:

– 1956 წელს აშშ-ში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭე-რისა და საკანონმდებლო რეგულირებისათვის შეიქმნა მცირე ბიზ-ნესის ადმინისტრაცია ასეულობით რეგიონული სტრუქტურებით, სადაც მცირე ბიზნესის წინაშე მდგარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე ყოველდღიური მაღალკვალიფიციური საქმიანო-ბით დაკავებულია ათასობით ექსპერტი და სპეციალისტი. ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც არ ემორჩილება არცერთ სამინისტროს, ან რაიმე სახელმწიფო უწყებას და იმყოფება უშუა-ლოდ მხოლოდ პრეზიდენტის კურირების ქვემ;

– 1976 წელს აშშ-ის მცირე ბიზნესის ადმინისტრაციასთან დაარსდა ადვოკატურის სამმართველო, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით იურიდიულად იცავს მცირე ბიზნესის წარმომადგენელ-თა ინტერესებს. ვინც წინ აღუდგება მცირე ბიზნესის წარმომად-გენლების უფლებებს, მას საქმე აქვს უშუალოდ პრეზიდენტან და კონგრესთან (ადვოკატურის სამმართველოს უფროსი ინიშნება პირადად პრეზიდენტის მიერ, რასაც ამტკიცებს კონგრესი).

– 1980 წელს აშშ-ში მიიღეს კანონი „მცირე ბიზნესის ეკონო-მიკური პოლიტიკის შესახებ“, რომელმაც უდიდესი სტიმული მი-სცა ქვეყანაში მცირე ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარებას. ყო-ველივე ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ კანონში პირდაპირ ჩაინერა პრეზიდენტისადმი პერსონალური დავალება, რომელთა შეუსრულებლობაზე პრეზიდენტი პასუხისმგებელია კონგრესის წინაშე.

მცირე მენარმეებისადმი მხარდაჭერის ამერიკულო მოდელის საქართველოში დასანერგად 1998 წელს შექმნილმა საქრთველოს თავისუფალ მცირე მენარმეთა ასოციაციამ 2003 წელს დაამუ-

ეპონიმური თეორიის თანამდებობები პროცესში

შავა მცირე მეწარმეობის 5 ძირითადი პრობლემის მოგვარებაზე გათვლილი 5 კანონპროექტისაგან შემდგარი „პროგრამა-დეკრეტი საქართველოში მცირე ბიზნესის რეფორმბის შესახებ”, რომლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები 2003წ. 7 აგვისტოს შეთანხმდა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან. ამ სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები დათანხმდა იმაზე, რომ ამერიკული მოდელის შესაბამისად მოცემულ ეტაპზე მცირე და საშუალო საწარმოების ცნებები გაერთიანდებოდა ერთი, კერძოდ, მცირე მეწარმეს ცნებაში, რომლის სტატუსის განსაზღვრის ზლიური ბრუნვა იზრდებოდა და უახლოვდებოდა ევროსაბჭოს რეკომენდაციებს. იზრდებოდა 1999 წლის კანონით დაარსებული მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის უფლებები და ამერიკული მოდელის შესაბამისად გათვალისწინებული იყო აგრეთვე ახლადგახსნილი მცირე საწარმოების 2 წლით განთავისუფლება შემოწმებებისაგან, მცირე მეწარმეებისათვის თვითდაფინანსების რეჟიმების დაარსება საკუთარი საინვესტიციო ბანკის ჩათვლით. რაც მთავარია, მცირე მეწარმეებისათვის დაწესდებოდა ერთადერთი ამოსარჩევი ფიქსირებული მცირე ბიზნესის გადასახდი, რომელიც იქნებოდა ადგილობრივი გადასახადი. მიუხედავად ამისა, ფაქტია რომ ჯერჯერობით ზემოაღნიშნული მოდელის დანერგვა არ მომხდარა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ამერიკული მოდელის დანერგვა ყველაზე პრიველად უნდა შეეხოს მცირე მეწარმეობის მატერიალური წარმოების სექტორს, რადგან მცირე მეწარმეობაში მატერიალური საწარმოების სექტორს განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება. სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, რომ ამ სექტორში ერთი დასაქმებული მცირე მეწარმეობის სხვა სექტორებში, მაგალითად, ვაჭრობაში, მოსახურებაში და სხვ. ავტომატურად ასაქმებს დამატებით 3 ადამიანს. საქართველოში კი ეს გამოცდილება აბსოლუტურად იგნორირებულია მაშინაც კი, როცა სააუბარი ზოგადად მოსახლეობის დასაქმებას ეხება, ან როდესაც დასაქმებაზე გამიზნული გრანტების განაწილება ხდება.¹ ეტყობა ამ საქმეში ლომის წილი, ჩვენი აზრით, ზოგიერთ უცხოელ ექსპერტებსაც მიუძღვით, რომლებიც მაინცდამაინც დაინტერესებული

1 ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა”, დეკემბერი, 2009, გვ. 25.

არ არიან საქართველოში მატერიალური საწარმოების განვითარებით (ამ სფეროს განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს უცხოური კომპანიების ბაზრის ხანილის დაკარგვა საქართველოში.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ რომ ქართული მცირე მეწარმეობა იმთავითვე ასცდა მსოფლიო მცირე მეწარმეობის განვითარების აპრობირებულ გზას. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლბა მცირე საწარმოების მატერიალური წარმოების სექტორისათვის ფიქსირებული გადასახადების შემოლების მოთხოვნა დავასახელოთ. არადაცნობილია, რომ მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული პრზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაციის - საერთაშორისო კერძო საწარმოების (ცენტრის) (CIPE) აღმასრულებელმა დირექტორმა, ბ-ნმა კ. დონოვანმა, თბილისში ჩამოსვლისას კონფერენციაზე (იგი დაპატიჟეს საქართველოში ნეოლიტერალური ეკონომიკური პოლიტიკის აპოლოგეტებმა) თავისი ოც გვერდიანი გამოსვლის დასაწყისშივე ხაზგასმით აღნიშნა: „თუ ხელისუფლებას სურს ქვეყანა გამოიყვანოს ეკონომიკური კრიზისიდან, აუცილებლად უნდა იყოს შემოლებული ფიქსირებული გადასახადები“¹.

მცირე ბიზნესის თავისებურებებისა და პრობლემების დახასიათებისას, ეხება რა მცირე ბიზნესის მკვეთრად გამოხატულ სოციალურ ფუნქციას, პროფესიონალურ ბესიკ ბაუჩაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ მცირე ბიზნესი არის „მოსახლეობის თვითდასაქმებისა და აქედან გამომდინარე, მისი „არდამშეულობის“ საუკეთესო საშუალება. მოსახლეობის დამშეულობა კი, რითი მთავრდება, ... ყველაზე კარგად... ხელისუფლებას უნდა ესმოდეს. მედალს მეორე, პოლიტიკური მხარეც აქვს - „არდამშეული“ მოსახლეობა შინაგანად თავისუფალია, ნაკლებად არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე და არჩევნების დროს სწორ არჩევანს აკეთებს. თავისუფალ საზოგადოებაში ეს „ყიდვა“ მხოლოდ ბაზრის (ქვეყნის) განვითარებისთვის ნორმალური პირობების შექმნით არის შესაძლებელი. “გადასახადი არის სავალდებულო და უპირობო შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან

1 ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, დეკემბერი, 2009, გვ. 25.

გამომდინარე¹". მართლაც, გადასახადების გადახდა აუცილებელია და ამაზე არავინ დაობს. პროტესტს ამ გადასახადების ზომა იწვევს ხოლმე (ამჟამად, ახალი მთავრობის პირობებში მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვა დაუბეგრავი მინიმუმის შემოღების შესახებ, რაც ვფიქრობთ, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. აღსანიშნავია ის დადებითი ტენდენციებიც, რომელიც გამოიწვია მცირებიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის შემოსავლების აღრიცხვის სპეციფიკური წესის შემოღებამ, კერძოდ, იმან, რომ მათ მიეცათ უფლება არ აღრიცხონ შემოსავლები და ხარჯები, ასეთი აღრიცხვა ანარმონობ სპეციალური უურნალის მეშვეობით-მათ შორის ელექტრონული ფორმით). ვერცერთი მეწარმე (თუნდაც არამენარმე) ვერ გადაიხდის იმდენ გადასახადს, რამდენიც ამა თუ იმ ხელისუფლებას სურს. მას მხოლოდ იმდენის გადახდა შეუძლია, რამდენის საშუალებაც აქვს. საშუალება კი იმდენადვე მცირეა, რამდენადაც სუსტია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, მსჯელობა იმაზე, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს მიახლოებულია - ან დემაგოგია, ან უბრალოდ არაკომპეტენტურობად შეიძლება ჩაითვალოს. ცნობილია, რომ ჩვილი ბავშვი ზრდასრული ადამიანის ტანსაცმელს ვერ მოირგებს. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის ვალია გამოიკვლიოს რამდენის გადახდა შეუძლია მცირე მეწარმეს, ბიზნესმენს საერთოდ ზარალის გარეშე რამდენი დაუწესოს გადასახდელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, (სუნტ-ეგზიუზერს დავესესხებით), თუ ხელისუფალს სურს, რომ მისი ბრძანება სრულდებოდეს, მზეს ჩასვლის დროს უნდა უბრძანოს ჩასვლა. შეცდომაა ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სიმცირე, ადმინისტრირების დაბალი დონით იყოს გამოწვეული. ადმინისტრირება ნამდვილად ხდება, მაგრამ მთავარია სად მიდის შემდეგ ეს ამოღებული თანხა. ჩვენი აზრით, 2008 წელს მიღებული კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ და ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც მეწარმეს უფლება აქვს საგადასახადო ინსპექციის გარდა არცერთ მაკონტროლებელ უწყებას არ გააცნოს ფინანსური დოკუმენტაცია, წინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ეს ნორმა არ მუშაობს. რატომ? იმიტომ რომ

1 ი.მესხია. ბიზნესის საფუძვლები. სახ.- თბ., 2011. გვ. 337

მოქმედი გადასახადების პირობებში მეწარმე იძულებულია, დამალოს გადასახადები და, რაც მთავარია, თავი კანონდამრღვევად იყრძნოს. მისთვის ისიც ცნობილია, რომ ეს მაკონტროლებელსაც მშვენივრად ესმის. ამიტომ კანონზე დამყარებულ მის უკანონო მოთხოვნებს ემორჩილება. ამ ფაქტორისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარე სწორედ მცირე ბიზნესია, რადგან მსხვილ ბიზნესმენს თავდაცვის მეტი საშუალება აქვს.¹

ძალიან ცუდი შედეგები მოაქვს მთავრობის მიერ კანონმდებლობის ყოველდღიურ ცვლილებებს. ეს გარემოება ქმნის ეკონომიკურად არაჯანსაღ ბიზნეს გარემოს, რომლის დროსაც ბიზნესის ხანგრძლივი დაგეგმვა არ ხერხდება. ასეთ დაუგეგმავ ბიზნესში კი ფულს არავინ, მითუმეტეს უცოხელი ინვესტორი არ ჩადებს, ან თუ ჩადებს, ძალიან ძვირად. ინვესტიციის, მითუმეტეს უცხოური ინვესტიციის გარეშე კი, ცნობილია, რომ ქვეყნის ეროვნული წარმოების განვითარება წარმოუდგენელია. ყოველივე ეს ბიზნესის დაბალეფექტიანობას იწვევს. ბიზნესის დაბალი ეფექტიანობა, ბუნებრივია, ინვესტ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია მთავრობის ხშირ ცვლასთან (ბიუჯეტის შეუსრულებლობა კანონის დარღვევაა, და როგორც წესი მთავრობის შეცვლას მოითხოვს). ასე რომ მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა (თუნდაც ხელის არ შეშლა) სასარგებლო უნდა იყოს ხელისუფლებისათვისაც და საერთოდ ქვეყნის განვითარებისათვის. საბოლოოდ კი, მივდივართ ასეთ დასკვნამდე - რაც უფრო მძიმდება ლეგალური ბიზნესის საგადასახადო ტვირთი, მით უფრო ჩქარა გადადის იგი ჩრდილში და იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკის წილიც:

ამრიგად, თუ გვინდა რომ საერთოდ მეწარმეობას, ბიზნესს ხელი შევუწოთ, უნდა ვეცადოთ, ყოველი მათგანის, მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესის პრობლემებში გავერკვეთ. „მცირე ბიზნესი ქვეყნის გადარჩენის პანაცეა ნამდვილად არ არის, მაგრამ გარდაუვალი აუცილებლობაა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბელურების მოსპობით მარცვლეულის მოსავალი კი არ მატულობს, არამედ მთლიანად ჩანაგდება და მას იმავე ბელურების მიერ შეუჭმელი

1 ჟურნ. „ეკონომიკა”, №9-12, 2009წ., გვ. 168-169.

ჭია-ლუა აჩანაგებს¹".

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის მთავარია, რომ ბიზნესმენს არ ჰქონდეს განცდა და მისწრაფება ყველანაირი გზით თავი დაიძვრინოს გადასახადების გადახდისაგან. სხვანაირად რომ ვქვათ, მეწარმის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი დისკრიმინაციული არ უნდა იყოს. ნორმალური მდგომარეობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი საადასახადო კანონმდებლობა ნამდვილად განთავისუფლდება ე.წ. „ჩასაფრებული“ და ორმაგი სტანდარტების რეუსტებისაგან. აგრეთვე, მაშინ, როცა საგადასახადო ორგანოს აშკარა შეცდომის გამო დაკისრებული გადასახადების თაობაზე მტკიცებულების ტვირთი ყველა შემთხვევაში გადამხდელს ეკისრება და მისი გაქარწყლებისათვის სახელმწიფოსაგან განსხვავებით დამატებით სოლიდური ოდენობის სასამართლო თუ საადვოკატო ხარჯების განევა უხდება. არაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, როცა გადასახადის გადამხდელი თავს არიდებს ასეთი ხარჯების განევას, არ ულირს ნერვების მოშლის ფასად და არც ასაჩივრებს ასეთ უკანონო გადაწყვეტილებებს. ასეთ პირბებში ბიზნესმენის გონიერი მთავარი საზრუნავი ბიზნესის დაწყებამდე და მისი კეთების პროცესშიც ისაა, რომ გამონახოს გზები, რაც შეიძლება ნაკლები ან სულაც არ გადაიხედოს, ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალისხმევა მიმართოს კონკურენციის დაძლევისათვის და მაღალი მოგების მისაღებად. საპირისპიროდ ამისა, ხელისუფლებაც მოძებნის ხოლმე გზას ბიზნესმენის დასასჯელად.

ყოველივე ამით ზარალდება სახელმწიფოც და ბიზნესიც. ნამდვილი ბიზნესი მარტო საარსებო საშაულებათა შოვნის წყარო კი არ უნდა იყოს, არამედ ის ხელოვნების რანგში უნდა იქნეს აყვანილი. თუ გამოვალთ ბიზნესის სოციალური ორიენტაციიდან, მაშინ ბიზნესისაგან, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესისაგან ადამიანებმა მარტო ფულადი მოგება კი არა, არამედ სიამოვნება და ხანგრძლივვადიანი კეთილდღეობა უნდა მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესი დაიმალება ან სხვაგან გადავა თუ სხვა ფაქტორებთან ერთად არ შეიქმნება პროგნოზირებადი და ხანგრძლივვადიანი სოციალურ-ეკონომიკური სამეწარმეო გარემო. ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ბიზნესმენი თვითონ შექმნის

1 ჟურნ. „ეკონომიკა“, №9-12, 2009წ., გვ. 169.

მეტ სამუშაო ადგილებს, რადგან ამის გარეშე მისი განვითარება შეუძლებელია. ანუ ბიზნესსა და დასაქმებას შორის დიალექტიკური კავშირია. ბიზნესს სჭირდება მეტი დასაქმებული და დასაქმებისათვის კი საჭიროა ბიზნესის განვითარება.

ამრიგად, თუ მთავრობა დაინტერესებულია მცირე და საშუალო ბიზნესის და განსაკუთრებით მატერიალური ეროვნული მცირე მეწარმეობის სექტორის განვითარებით, აუცილებლად უნდა იზრუნოს შეღავათიანი ან უპროცენტო კრედიტის გამოყოფაზე, აღადგინოს (ან მისი მსგავსი სტრუქტურა შექმნას) მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის ცენტრი, რაც ფეხზე დააყენებს მთელ ქართულ - ეროვნულ მცირე მეწარმეობას. შესაბამისად, თანდათანობით და გეგმაზომიერად გადაიჭრება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები - ხალხის დასაქმება, სიღარიბე დაიძლევა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილიზაციას. ხელსაყრელი საგადასახადო და სტაბილური პოლიტიკური გარემო, ინვესტიციების მოზიდვისათვის სახელმწიფოს მხრიდან სხვა ხელშემწყობი პირობების შექმნა, ბიზნეს გარემოს კვალიფიციური გამოკვლევა, მეცნიერული ანალიზი, დასკვნების გაკეთება, მათი საჯაროობა, სახელმწიფოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია, რეგიონების მიხედვით პრიორიტეტების განსაზღვრა, ბიზნეს-პროექტების საფუძველზე სამთავრობო თუ სხვა პროგარმით ინვესტიციების მოზიდვა, მის გამოყენებაზე მონიტორინგის წამროება, შედეგების განზოგადება, ბიზნესის წარმოებისათვის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება-გადამზადება, სახელმწიფო აპარატისადმი ბიზნესმენის ნდობის ამაღლება და ადგილობრივი სამამულო-საექსპორტო წარმოებისათვის ეროვნული პოლიტიკის გატარება - აი ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს როგორც წარმატებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ისე მოსახლეობის დიდი წანილის დასაქმებას და შესაბამისად ეკონომიკური კრიზისის დროულად დაძლევას.